ახალი ხარაგაული

384 (15) 8 აგვისტო , 2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მონიტორინგი განახორციელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელ ნუნისში ცენტრალურ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ნუნისის ღვთისმშობლის სახელობის ბერების მონასტრიდან გზის 2 500 - მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება. ბალნეო-კლიმატური კურორტი ნუნისი ზაფხულობით ასეულობით ტურისტს ღებულობს, ამიტომ სოფელს ინფრასტრუქტურის განვითარება ბევრ სიკეთეს შეჰმატებს.

გზის მშენებლობა სოფელში რეგიონული განვითარების ფონდიდან 311,444 ლარით დაფინანსდა. ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა კი თანხის 5%-ს შეადგენს.

სოფლამდე მისასვლელი გზის ერთკილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია ხორციელდება ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალსოფელში. პროექტის ღირებულება 171 855 ლარია.

სულ მალე კეთილმოწყობილ გზაზე გადაადგილება შეეძლება ქროლის მოსახლეობას. პროექტის ფარგლებში, სოფელში რეაბილიტაცია რამდენიმე მონაკვეთს ჩაუტარდება და ჯამში 2 000 მეტრამდე გზა მობეტონდება. გზის გასწვრივ, საჭიროების ადგილებზე, მოეწყობა სანიაღვრე არხები და წყალამრიდები.

გარდა ამისა, ბეტონის საფარი იგება ქვების ცენტრალური გზის 1,5 კმ-იან მონაკვეთზე, სამუშაოებზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 159 340 ლარი გამოიყო.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, მოადგილე არჩილ მაღრაძემ, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა მიმდინარე პროექტები ადგილზე დაათვალიერეს. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან 27 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება.

ისლარში, საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით, ეკობანაკი მოეწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე პროექტის - „ერთად ვიზრუნოთ პლანეტაზე“ კოორდინატორს საქართველოში ცისანა ჭიპაშვილსა და ეკობანაკის მონაწილეებს შეხვდა. ცისანა ჭიპაშვილმა სოფელ ისლარში, საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით, ეკობანაკი გახსნა, რომელშიც ხარაგაულელი ახალგაზრდები არიან გაერთიანებული. პროექტის ფარგლებში მათ ერთი კვირის განმავლობაში ჩაუტარდათ გარემოს დაცვის საკითხებზე ტრენინგები და შეისწავლეს სოფლის ეკოლოგიური პრობლემები. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობას ყველაზე მეტად კანალიზაციის არარსებობა და მდინარე ჯიხველას დაბინძურება აწუხებს.

როგორც შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ განაცხადა, მსგავსი პრობლემა დაბის მოსახლეობასაც აწუხებს. „მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდები ფიქრობთ და ზრუნავთ გარემოს დაცვაზე. ძალიან მძიმე მდგომარება გვაქვს ამ მიმართულებით. მუნიციპალიტეტში გაუმართავია კანალიზაციის სისტემა. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან და გვაქვს დაპირება, რომ დაბა ხარაგაულსა და მიმდებარე სოფლებში კანალიზაციის სისტემა მოწესრიგდება,“ - განმარტა ნიკოლოზ თოფურიძემ.

აღსანიშნავია, რომ პროექტი „იზრუნე პლანეტაზე“ ევროპის ქვეყნების მასშტაბით ხორციელდება და მასში საქართველოც მონაწილეობს. 2018 წელს პროექტის მონაწილე ქვეყნების შეხვედრა პორტუგალიაში გაიმართა, სადაც ახალგაზრდებმა ღია წერილი შეადგინეს და საზოგადოებას გარემოს დაცვისა და გაფრთხილებისკენ მოუწოდეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ოჯახი მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ლაშის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელ კახა კვინიკაძესთან ერთად, ნელი და გუგულა კვინიკაძეები მოინახულა და საკვები პროდუქტები გადასცა. მოხუცებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, სოციალური დახმარება მოხსნილი აქვთ. ნიკოლოზ თოფურიძემ ოჯახს დახმარება აღუთქვა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლობების ფარგლებში გაუწევს მათ დახმარებას.

საკვები პროდუქტები გადაეცა ასევე, დაბაში მცხოვრებ მარტოხელა დედას, თეა დევდარიანს. ნობათი ოჯახში პირადად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა ალექსანდრე ტაბატაძემ, ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ დირექტორმა გიორგი ჩიჩილიძემ და მერის წარმომადგენელმა დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაქარ ბარბაქაძემ მიიტანეს.

თეა დევდარიანი ავადმყოფ შვილთან ერთად რამდენიმე კვირაა, რაც გადმოვიდა ხარაგაულში საცხოვრებლად. ბინაში არ არის დამაკმაყოფილებელი პირობები, არ აქვთ დენი, წყალი და გაზი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით იგეგმება მათთვის საყოფაცხოვრებო ინვენტარის შეძენა. დედა-შვილი ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მომსახურებით უკვე სარგებლობს.

მერიის სამსახურების ანგარიში ღია ბიუჯეტზე შეფასდა

6 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში განიხილეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარმოადგინა. მომხსენებლის განმარტებით, მერიის საშტატო ნუსხა 132 ერთეულითაა განსაზღვრული, შრომითი ხელშეკრულებით კი 17 პიროვნებაა აყვანილი. როგორც გოლუბიანმა განაცხადა, მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის განმავლობაში შემოსულია 6603 კორესპოდენცია და პასუხების გაცემა კანონით დადგენილ ვადებში ხდება. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით შექმნილია ვებ და ფეისბუქ გვერდები და მოსახლეობა სისტემატურად ღებულობს ინფორმაციას პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ - კულტურულ, სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. რაც შეეხება წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილებას, აქტიურად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად ახდენს პიროვნებების იდენტიფიცირებას, ასევე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთების იდენტურობას. იურიდიული განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად მიმდინარეობს სამართლებრივი კონსულტაციები. განყოფილება ჩართულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. მათ მიერ მზადდება ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების, საკრებულოს დადგენილებისა და განკარგულების პროექტები,შესაგებლები და

სარჩელები, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. რაც შეეხება გენდერულ საკითხებში მერიის მონაწილეობას, ამ მიმართულებით ტარდება სხვადასხვა შეხვედრა-სემინარები. სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ოთხმოცდაცხრამეტი ხელშეკრულების პროექტი და ყველა მათგანი გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იტვირთება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ამავე საკრებულოს სხდომაზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა გიორგი ჭყოიძემ. როგორც მომხსენებელმა განმარტა, სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული ფინანური რისკების დადგენა, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. გიორგი ჭყოიძის თქმით, 2017 წლის წლიური გეგმით შემოწმება ჩაუტარდათ, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას“, ა(ა)იპ ხარაგაულის საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009-ს“; ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“; შპს „ხარაგაული 2011-ს“; მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს; ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს. საერთო ჯამში გაიცა 45 სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, საიდანაც შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. რაც შეეხება 2018 წელს, ჭყოიძის ინფორმაციით, შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდათ, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს“; ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009-ს“; ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“; ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. მომხსენებლის განმარტებით გაცემული რეკომენდაციის შესრულების შესახებ სამსახური ეტაპობრივად ატარებს მონიტორინგს.

საკითხთან დაკავშირებით დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ თუ არ მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინება, მუნიციპალიტეტის მერმა აუცილებლად უნდა დააყენოს სამსახურის უფროსების პასუხისმგებლობის საკითხი.

მერიის სამსახურების ანგარიშები დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუდიტის დასკვნა ნამდვილად კრიტიკული იყო, რაც მისასალმებელია.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონულ განყოფილებას კიაზო გამრეკელაშვილი უხელმძღვანელებს

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსად კიაზო გამრეკელაშვილი დაინიშნა. ბატონი კიაზო სამსახურს 2009-2015 წწ. ხელმძღვანელობდა. ბოლო პერიოდში კი სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. ხარაგაულში აღნიშნული სამსახურის უფროსის მოვალეობას თავდაპირველად ნანული ტაბატაძე ასრულებდა, შემდგომ კი - ნაზი გველესიანი. მიმდინარე წლის თებერვლის თვეში კონკურსი გამოცხადდა და ტესტირებისა და გასაუბრების შემდეგ კიაზო გამრეკელაშვილის კანდიდატურა შეირჩა.

სოციალურად დაუცველთა შემწეობის საკითხი ხარაგაულში აქტუალობას არ კარგავს. არის შემთხვევები, როდესაც რიგ პირებს ფულადი დახმარება დაუსაბუთებლად უწყდებათ. რა ხდება ამ სფეროში და რის მიხედვით ანიჭებს, ან უხსნის სახელმწიფო ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსს, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი გვესაუბრება.

-ბატონო კიაზო, რა პროცედურებია საჭირო იმისათვის, რომ ოჯახი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მოხვდეს და რა შემთხვევაში ენიშნება პირს ფულადი შემწეობა?

-სოციალური დახმარების მისაღებად ოჯახის სრულწლოვანი წევრი აკეთებს განაცხადს, რის შემდეგ სოციალური აგენტი ამოწმებს ოჯახს და ავსებს დეკლარაციას. აგენტს დეკლარაციაში შეაქვს ის ინფორმაცია, რასაც ოჯახის წევრები პასუხობენ და მის სიზუსტეს თავად ოჯახის სრულუფლებიანი წევრები აწერენ ხელს. შემოწმებიდან ერთ თვეში ხდება სარეიტინგო ქულის მინიჭება, რომელიც ითვლება პროგრამულად. ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განესაზღვრება 60 ლარით ყველა წევრზე, 30 001-დან 57 001 ქულამდე - 50 ლარით, 57 001-დან 60 001 ქულამდე- 40 ლარით, 60 001-დან- 65 001 ქულამდე- 30 ლარით. გარდა ამისა, ყველა ოჯახი, რომელთა სარეიტინგო ქულაც 65 001 – დან 100 001 ქულამდეა, 16 წლამდე მყოფ თითო ბავშვზე იღებს 10- ლარიან დანამატს.

- რა შეიძლება გახდეს ფულადი დახმარების შეწყვეტის მიზეზი და რა ინტერვალით ხდება გადამოწმება?

-ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზები შეიძლება იყოს სარეიტინგო ქულის ცვლილება ან ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება. რაც შეეხება საკითხს, თუ რა ინტერვალით ხდება გადამოწმება, მოგახსენებთ, რომ ეს ხდება დემოგრაფიული ცვლილების საფუძველზე, შემოსავლების შემცირების ან გაზრდის შემთხვევებში, ასევე, თუ ერთი წელია გასული და ბენეფიციარი თავად ითხოვს გადამოწმებას.

-დღეის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენი ოჯახი იღებს ფულად დახმარებას და რამდენად ნაკლებია ეს ციფრი წინა წლებთან შედარებით?

-მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი, სავარაუდოდ, 1 700 ოჯახამდეა. ეს ციფრი წინა წლებთან შედარებით მეტია თუ ნაკლები ამას ვერ გეტყვით, რადგან საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი ცვალებადია.

- ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრს მოეხსნა სოციალური დახმარება. ეს კი იმ ფონზე ხდება, როდესაც მათი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

- ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის აღწერისა და დეკლარაციის შევსების მონაცემები შედის ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულებს სისტემა ითვლის კომპიუტერულად - დადგენილი ფორმულით. დეკლარაციაში აღწერილ ყველა მონაცემს აქვს თავისი წონა, რაც გავლენას ახდენს ქულის ფორმულირებაზე.

- არის თუ არა ცვლილებები სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში?

- დიახ, ცვლილებები განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში. შინამეურნეობის საჭიროების ინდექსის გამოსათვლელად საჭირო მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება 149,6 ლარიდან 175 ლარამდე გაიზარდა.

- რა პროგრამებით სარგებლობენ სოციალურად დაუცვლი მოქალაქეები?

- სოციალურად დაუცველ პირებს აქვთ შეღავათი ელექტროენერგიის გადასახადზე. ასევე მათზე მოქმედებს უფასო წამლების პროგრამა. კერძოდ, გულსისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკული, ფარისებრი ჯირკვლის, დიაბეტის მქონე მოქალაქეები, რომელთაც აქვთ 100 ათასი სარეიტინგო ქულა, სახელმწიფოსგან ღებულობენ მედიკამენტებს 1 ლარად. გარდა ამისა, ვისი სარეიტინგო ქულაც 65 ათას ქულაზე დაბალია და ოჯახში არის ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, რომელიც საჭიროებს ხელოვნურ კვებას, ასეთები სარგებლობენ მეურვეობა - მზრუნველობის პროგრამით. ამისათვის საჭიროა, ოჯახის ექიმმა გასცეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა 100, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ბავშვი იმყოფება ხელოვნურ კვებაზე. ამის შემდეგ გავაგზავნით მოთხოვნას მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტში და დაკმაყოფილება ხდება ეტაპობრივად. ამ ეტაპზე პროგრამით მუნიციპალიტეტში რვა ბავშვი სარგებლობს და ყოველთვიურად 80 -ლარიან ვაუჩერს იღებენ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში დახმარება 2013 წლიდან დღემდე 78 ბავშვს გაეწია.

თამარ მაღრაძე

ტუეკაფები ხარაგაულში 20 აგვისტოდან გაიხსნება

რამდენიმე თვეა, იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბანს ალი მურადოვი ხელმძღვანელობს. ბატონი ალი სპეციალობით მეტყევე ინჟინერია და ამ სფეროში მუშაობის ოცნლიანი გამოცდილება აქვს. მურადოვმა საქმიანობა ტყის მცველის პოზიციიდან დაიწყო, შემდეგ კი მოლითის სატყეო უბნის უფროსის თანამდებობა დაიკავა. 2018 წლის იანვრიდან ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, აპრილიდან კი უფროსად დაინიშნა. ამჟამად ხარაგაულის სატყეო უბანზე 14 ტყის მცველი და 2 მეტყევე სპეციალისტია.

როგორც მოგეხსენებათ, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად საქართველოში ხე-ტყის ხელმიუწვდომლობაა. მოქალაქეს უწევს გარკვეული პროცედურების გავლა, რათა მოიპოვოს, როგორც სამასალე, ასევე საშეშე მერქანი. შეძლებს თუ არა ხარაგაულის მოსახლეობა ზამთრისათვის შეშის მომარაგებას და კონკრეტულად რომელ უბნებშია ტყეკაფები გამოყოფილი, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე **ალი მურადოვი** გვსაუბრებს:

-მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია შემდეგი პროცედურები: მოქალაქემ, რომელსაც საშეშე მერქნის მოპოვება სურს, უნდა მიმართოს ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალს, გადაიხადოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი, ასევე ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემის მომსახურების საფასური და მიმართოს ტყის მცველს. მოქალაქე დაამზადებს საშეშე მერქანს (მოჭრის ტყის მცველის მიერ მითითებულ ნომრიან ხეს) და ტყის მცველის მიერ მოხდება აღნიშნულ ხე-ტყეზე დოკუმენტის გაწერა.

-როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ხე-ტყის მასიურ ჭრას?

-ხეების მასიური ჭრა ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარეობს. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ალტერნატიული საწვავია ქვანახშირი, რომელსაც მოსახლეობა წლების წინ მოიხმარდა. თუმცა მისი შემოტანა სახელმწიფოზეა დამოკიდებული. არის ასევე ბუნებრივი აირი, მაგრამ მაღალმთიან სოფლებში გლეხი ბუნებრივი აირით გათბობას ვერ შეძლებს. ვფიქრობ, ალტერნატიული საწვავი ტყეს მასიური ჭრისაგან გადაარჩენს. რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. გლეხების 90% დამოკიდებულია ტყეზე. ხშირია უკანონო ჭრები, რის საფუძველზეც დგება ადმინისტრაციული ოქმი და პიროვნება ჯარიმდება. სამასალე მერქანზე ჯარიმის ოდენობას განაპირობებს ხის სახეობა. ერთი კუბური მეტრი წიფლისა და რცხილის ღირებულება 19 ლარია, მურყნისა კი 6-7 ლარი, ჯარიმის შემთხვევაში აღნიშნული თანხები ექვსმაგდება.

- რა მდგომარეობაა ტყეკაფებთან დაკავშირებით და როდიდან შეეძლებათ მოქალაქეებს სარგებლობა?

-ტყეთმოწყობა ხარაგაულში უკვე ჩატარებულია. 20 აგვისტოდან გაიხსნება ტყეკაფები. დღეის მდგომარეობით 3 000 კუბური მეტრი გასული წლის ნარჩენია. მოქალაქეს ამჟამადაც შეუძლია, ამოიწეროს ბილეთი და მოიპოვოს საშეშე მერქანი. დამატებით დაგეგმილია 7 ათასი კუბური მეტრის გამოყოფა და ზამთრის სეზონისათვის მთლიანად 10 ათასი კუბური მეტრი გვაქვს ასათვისებელი. სკოლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების საშეშე მერქანზე ტენდერები უკვე დასრულდა, ხელშეკრულებები გაფორმდა და მიწოდება უახლოეს დღეებში დაიწყება. ზამთრის სეზონისათვის სატყეო სამსახური მზადაა.

- რას გვეტყვით სამასალე მერქნის მოპოვებასთან დაკავშირებით. სარგებლობს თუ არა ამ სერვისით ხარაგაულის მოსახლეობა?

-სამასალე ხე-ტყის გაცემის პროცედურები მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება. მოქალაქემ, რომელსაც პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყის მოპოვება სურს, უნდა მიმართოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, რომელმაც შუამდგომლობა უნდა გაუწიოს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორთან. გუბერნატორი გადასცემს სახელობით სიებს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, რის საფუძველზეც სააგენტოს უფროსი გამოსცემს ბრძანებას პირველი ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ. ამის შემდეგ მოქალაქე იხდის მოსაკრებელს იგივე წესებით, რაც მოქმედებს საშეშე მერქანზე.

თამარ მაღრაძე

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების თანამშრომელთა ხელფასები იზრდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის გადაწყვეტილებით, რეგიონებში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პერსონალს ხელფასები 30%-ით გაეზრდება. მამუკა ბახტაძის განცხადებით, ეს ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოსახლეობას მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისი მიეწოდოს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან დღემდე რეგიონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის ანაზღაურება ჯამურად 127%-ით არის გაზრდილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მეორე კვარტლის ბიუჯეტი 95% -ით შეასრულა

6 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა 2018 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ გააცნო. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ექვსი თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 5026,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 4749,1 ათასი ლარია მიღებული, რაც გასულ წელთან შედარებით 1606,4 ათასი ლარით მეტია. რაც შეეხება გადასახადებს, დაგეგმილი 236.5 ათასი ლარიდან მიღებულია 339,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 19,0 ათასი ლარიდან კი შემოსულია 5,0 ათასი ლარი, აქედან 1,5 ათასი ლარი ძირითადი ქონების და 3,5 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან. რაც შეეხება ხარჯებს, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1141,3 ათასი ლარიდან გაწეულია 1050,6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯები დაგეგმილი 844,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 779,5 ათასი ლარი, რაც 2017 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 18,5 ათასი ლარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 10,0 ათასი ლარი, მთლიანად მოხმარდა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენას.

2018 წლის ექვსი შედეგების მიხედვით, ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 6051,9 ათასი ლარიდან გაწეულია 4 288,9 ათასი ლარი, რაც გასული წლის ექვსი თვის შედეგებს 3 332,6 ათასი ლარით აღემატება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 374,7 ათასი ლარიდან დაიხარჯა 343,8 ათასი ლარი, აქედან მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე გაიცა 205,3 ათასი ლარი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის დასკვნა წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, ის შენიშვნები, რაც 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულომ გასცა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა არ გაითვალისწინა. ,,ჯარიმებიდან და ბუნებრივი რესურსებიდან დაგეგმილი შემოსავლები შესრულებული არაა. მაგრამ იმედი მაქვს, სხვა შემოსავლების ხარჯზე, ის ვალდებულებები, რაც მუნიციპალიტეტს აღებული აქვს, შესრულდება. საკრებულოს მიერ გაცემული საბიუჯეტო შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა დაბის ცენტრალურ პარკში ატრაქციონების განთავსებას, ასევე წარმატებული სპორტსმენების წახალისებას არ გაითვალისწინეს. განგვიმარტეს, რომ თანხების სიმცირის გამო შენიშვნებს ეტაპობრივად გაითვალისწინებენ და იმედია, რეალურ შედეგამდე მივალთ.“- დასძინა ჭიპაშვილმა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ სოციალურ პროგრამებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე მიმდინარე წელს თანხები არ გაცემულა. მან ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. ,,ხარაგაულში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება, რაც მისასალმებელია. მაგრამ არის ტექნიკური ხარვეზები და ხშირ შემთხვევაში მშენებარე კომპანიები დროულად არ ასრულებენ სამუშაოებს. ხშირია ხელშეკრულებების გადავადება. არასახარბიელო მდგომარეობაა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების მხრივაც. ვფიქრობ, მერიის სამსახურებმა კანონის ფარგლებში უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.“ - განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ. მისივე განცხადებით, აუცილებელია, ამ მიმართულებით თანხები გაიზარდოს და ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცეს.

როგორც ნინო მაღლაკელიძემ განმარტა, სოციალური მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება, მაგრამ იმის გამო, რომ სამედიცინო მომსახურებაზე უამრავი განცხადება შემოდის, ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემა ვეღარ ხერხდება.

2018 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია დეპუტატებმა ცნობად მიიღეს.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ქუჩების და ჩიხების რეაბილიტაციის იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ დაბა ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოავლინა. შპს ,,რეკონსტრუქცია XXI-ის “ ფილიალი საქართველოში აღნიშნულ სამუშაოებს ნოემბრის ბოლომდე დაასრულებს. პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირდება დეკანოსიძის ქუჩის პირველი ჩიხი, 9 აპრილის მე-2, მე-3, მე-5, მე-6 ჩიხები, წერეთლის მეორე ჩიხი, დევდარიანის პირველი ჩიხი, გურამიშვილის პირველი ჩიხი, გალაკტიონის მეორე და ჭიპაშვილის მეორე ჩიხები. ასევე დეკანოსიძის პირველ ჩიხში საყრდენ კედელს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. მოეწყობა საყრდენი კედელი კიკნაძის ქუჩაზე(ცხოვრებაძისა და ჯოგლიძის სახლებთან). ბეტონის საფარი დაიგება წერეთლის პირველ შესახვევში (მესხისა და შარიქაძეების სახლთან), ნიორაძის პირველ შესახვევში ბუხნიკაშვილის სახლამდე, დევდარიანის ქუჩაზე (საავადმყოფოსთან), ჭიპაშვილის ქუჩაზე და კიკნაძის მეორე შესახვევში. გარდა ამისა, გაინმინდება მდინარე ჯიხველას კალაპოტი და 9 აპრილის ქუჩაზე არხი.

პროექტებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს და საერთო ჯამში 316 484 ლარი დაიხარჯება.

ღიას, ჩვენი საქართველო ნამღვილად აქ არის!..

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი მიზანმიმართული პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!“ კვლავ აგრძელებს სვლას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შთამბეჭდავად ამზეურებს მადლს იმ მამულიშვილებისას, რომელთაც ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით ნათელი კვალი აღბეჭდეს ერის ისტორიაში უფლის, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულისა.

ჩვენს მკითხველს დღეს ვთავაზობთ აღნიშნული პროექტის ორ მნიშვნელოვან მომენტს, რომლითაც ერთხელ კიდევ ვიგრძნობთ სიამაყეს, რომ ჩვენს ერში, უფლის მადლით, ქართველთათვის ბარაქიანი სულიერი საზრდოს მიმწოდებლებად დაიბადნენ გოდერძი ჩოხელი და ოტია იოსელიანი.

„ამაყი გუდამაყრელი“ გუდამაყრის ხეობიდან ძირულის ხეობას „ესტუმრა“...

„ამაყი გუდამაყრელი“... ვიტყვით და ჩვენ თვალწინ გაიელვებს სახე სიცოცხლეზე, მშობელ მიწაზე, ადამიანებზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცისა, რომელმაც ფილოსოფიური გააზრებით ძალზე მარტივად, მაგრამ ღრმაშინაარსიანი სიზუსტით დაასაბუთა სიკვდილ-სიცოცხლის არსი:

„-რა არის სიცოცხლე?

-სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა...

- სიკვდილი?

- სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არ-ყოფნის სევდა...“

დაგვეთანხმებით, ეს სიბრძნე აზროვნების ის ბერკეტია, ის ორიენტირია, რომელიც სრულად უჩვენებს ადამის შთამომავალს საკუთარ მისიას წუთისოფელში და განსაზღვრავს ამქვეყნიური ყოფის გამონაშუქს მარადისობაშიც...

გოდერძი ჩოხელი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა „ასტუმრა“ ძირულის ხეობის ულამაზეს სოფელ დიდ განთიადს (ამჟამინდელი სოფელი სამება) იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლით „ამ მინის ბედი ჩემი ბედია.“

ამქვეყნიური სამოთხე...

ყველას გვახსოვს დიდი რუსთველისეული განსაზღვრა, რომ უფალმა შექმნა სამყარო და „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა.“

ადამიანიც ხომ ღმერთმა შექმნა „ხატად თვისად“ და შთააგონა მასთან მიახლოების გზებით სვლა.

ზემოთ მოხმობილი ქვესათაურიც იმის მინიშნებაა, რომ ადამიანს შეუძლია, იაროს ამ გზით და კიდევ უფრო ლამაზი გახადოს ღვთისგან უთვალავი ფერით ბოძებული ქვეყანა.

დიახ, ეწვიეთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში ბახვა და კლარა სამხარაძეების ეზო - მიდამოს და თქვენ დარწმუნდებით, თუ როგორ ძალუძს ადამიანს „ამქვეყნიური სამოთხის“ შექმნა. ვერანაირი ეპითეტით ვერ აღწერ ამ სამოთხეს. ჰოდა, გირჩევთ, თვითონ ეწვიოთ გულღია მასპინძელს და იხილოთ მართლაც ამქვეყნიური სამოთხე...

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ამ კერას ხშირად სწვევია ცნობილი ქართველი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომლის პირადი არაერთი ნივთი დღეს სამხარაძეების ოჯახის რელიკვიაა.

ბატონი ბახვა სამხარაძე ოცნებობს, რომ იმ ოთახში, რომელიც მოგზაურობებიდან დაბრუნებულ ჯუმბერს სულის სავანედ მიაჩნდა, შთამომავლობისათვის ჯუმბერ ლეჟავას ოთახი - მუზეუმი გახსნას.

დაე, უფალმა აუსრულოს ეს კეთილი ოცნება!

„მწყემსი კეთილი“ - მამა პეტრე (კურტანიძე)

როცა მამა პეტრეს გაიცნობთ, როცა ძირულის ხეობის მრევლს ესაუბრებით, რწმუნდებით, რომ მამა პეტრე თავისი სამწყსოს ჭეშმარიტად კეთილი მწყემსია, რომლის სულშიც დიდი მადლი და ამ მადლით სხვათათვის სიმშვიდის, ჭირთა თმენისა და სიხარულთან მიახლების დიდი ძალა უბოძებია უფალს.

ბახვა სამხარაძის ოჯახიც მამა პეტრეს მრევლია. სოფელში ღვთის სახლისამების ცნობილი ეკლესია-რომ აღდგენილ-გამშვენიერებულია, ეს მამა პეტრეს ლოცვა-კურთხევის, ბატონ ბახვა სამხარაძის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისა და მრევლის დიდი შრომითი ენთუზიაზმის შედეგია.

ქართული სოფლის გაძლიერება, მშრომელი მარჯვენის პოპულარიზაცია, მრევლის ზნეობრივ და სულიერ სიმაღლეებთან ზიარება „კეთილი მწყემსის“ დიდი ინტერესის სფეროა. შემთხვევითი არ იყო, რომ მამა პეტრემ თეატრის რეპერტუარიდან გოდერძი ჩოხელის ცხოვრება შეარჩია და სპექტაკლის ჩვენების ადგილად-ბახვა სამხარაძის ეზო. ღვთისნიერმა მასპინძელმაც მის სურვილს ფართოდ გაუღო საკუთარი „სამოთხის“ ჭიშკარი...

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მსახიობის ნიჭიერებამ, მეტყველების სტილმა და პროფესიონალურმა ოსტატობამ ემოციებით დატვირთა ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოსული მაყურებელი. ამის ნათელსაყოფად საკმარისია, ერთ-ერთი საპატიო სტუმრის, (გერმანია, ქალაქი კილი) დოქტორ რუდიგერ ანდრესენის სიტყვები (როცა მან უარი უთხრა თარჯიმანს მსახიობის საუბრის გადათარგმნაზე):

- მსოფლიო მოვიარე და მსგავსი ნიჭიერება არ მინახავს, არ მინდა თარგმნა, ამ ქალბატონის ყოველი სიტყვა გასაგებია ჩემთვის...“

„ადამიანისაგან რაც რჩება, მისი სიცოცხლეც ესაა“

ამ შეგონებაში არეკლილია დიდი მწერლისა და მამულიშვილის, ოტია იოსელიანის, ცხოვრების კრედო, რომლის გათავისებაც თითოეული ადამიანის მოვალეობაა. ვინ ხარ და რა დარჩება ამქვეყნად შენგან - ესაა კაცთათვის მარადიული საფიქრალ - საზრუნავი...

2011 წლის 14 ივლისი ის მტკივნეული თარიღია, როცა საქვეყნო საქმეებით დაღლილმა მწერალმა ამქვეყნიური ყოფიდან მარადიულ საუფლოში დაიდო ბინა. თითქოს სიმბოლური იყო, რომ სწორედ ივლისის თვეში ლიტერატურულმა თეატრმა წყალტუბოში (ხელოვნების ქუჩა N1), მწერლის სალონ-მუზეუმის ეზოში გამართა სპექტაკლი „ჩვენი ოტია“, იმ ეზოში, სადაც, ანდერძისამებრ, მარადიული ნავსაყუდელი ჰპოვა მისმა კეთილმა სულმა...

ვიდექით საფლავთან და ჩაგვესმოდა საყვარელი მწერლის ფრთიანი ფრაზა:

„სამშობლოს ვალი, რაც შემეძლო,
ხომ მოვიხადე,
ახლა კი ვალი მეძახის მიწის“...

ხარაგაულის დელეგაციას უკვე მერამდენედ ხვდა წილად ბედნიერება ამ ეზო-კარში, ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში წვევისა, მასთან საუბრით ტკბობისა, ბრძენკაცისაგან შეგონება-სენტენციებით დამოძღვრისა. მისი გარდაცვალების შემდეგაც ესწრაფვიან ხარაგაულელები ერისკაცის ხსოვნის საკადრისად პატივგებას.

სპექტაკლის მაღალ დონეზე ჩვენების შემდეგ უამრავმა გამომსვლელმა მაღალი შეფასება მისცა დიდი მწერლის ღვაწლსაც და მის უკვდავსაყოფად შექმნილ სპექტაკლსაც. ყველამ განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ამ დღის მასპინძლების, მწერლის შვილის, დაჩი იოსელიანის, რძლის, თეა გიორგაძის, შვილიშვილ ოტია იოსელიანის (უმცროსი) მიმართ, რომლებიც ამ მშვენიერ მიდამოში არ აქრობენ იმ შრომით პათოსს, რაც ამ კერის ფუძეჩამყრელმა და დიდი ოჯახის დიდმა მესაჭემ უანდერძათ.

„ჰოი, წამო სიხარულისა“....

„ჰოი, წამო სიხარულისა, ესე სწრაფად სად წახვედი?“ - გულში იმეორებ დანანებით, რადგან ამ უმშვენიერეს სანახაობათა ყოველი წამი იყო დატვირთული შრომის, ნიჭიერების, კაცთმოყვარეობის საოცარი სინთეზით, რაც ერთხელ კიდევ შთამბეჭდავად გაგვააზრებინებს, რომ „ადამიანისაგან რაც რჩება, მისი სიცოცხლეც ესაა,“ რომ „სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა...“

ნუმც განშორებოდეს ჩვენს ერს, ჩვენს ქართველობას, ეს მარადიული სევდა, რათა უკეთ შევიგრძნოთ - ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ...

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

ხარაგაულში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინფექციური დაავადება - ნოდულარული დერმატიტი - დაფიქსირდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინფექციური დაავადება - ნოდულარული დერმატიტი - დაფიქსირდა. დაავადების გამომწვევია ვირუსი, რომელიც მიეკუთვნება - poxviridae-ს ოჯახს. იგი ხასიათდება ცხელებით (მაღალი ტემპერატურით - 42 გრადუსი) და ინკუბაციური პერიოდი 2-4 კვირაა. ცხოველს უქვეითდება მადა, აღენიშნება ცრემლდენა, ცხვირიდან გამონადენი, წარმოიქმნება კვანძოვანი გამონაყარი კანზე. კვანძების რაოდენობა შესაძლებელია, გაიზარდოს ერთეულიდან და მოედოს მთელს სხეულზე, განსაკუთრებით ბარძაყებზე, კიდურებზე, კიდურებს შორის, თვალების გარშემო, სახეზე, ცურზე.

როგორია ინფექციის გადაცემის გზები და რა ზომები ხორციელდება დაავადების პრევენციის მიზნით, ამის შესახებ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორი გიორგი კიკალიშვილი გვესაუბრება:

- დაავადება პირველად 2017 წელს დაფიქსირდა, რომელიც ხარაგაულში საჩხერის მუნიციპალიტეტიდან გავრცელდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში ნოდულარული დერმატიტი გამოვლინდა, სურსათის უვნებლობის ეროვნულმა სააგენტომ დაუყოვნებლივ გაატარა შესაბამისი ზომები ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ხარაგაულის მთელ ტერიტორიაზე აიცრა 11 000- მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ნოდულარული დერმატიტი ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომლითაც მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ავადდება და პირუტყვს კანზე აღენიშნება კვანძები (ბორცვები), თვალებიდან და ცხვირიდან გამონადენი. მის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მწერები (ვექტორები). იშვიათ შემთხვევაში დაავადების გადაცემა შეიძლება მოხდეს დაინფიცირებული ნერწყვით დაბინძურებული წყლისა და საკვების მიღებისას. ვირუსით დასვრილი მოხმარების საგნებისა და ინვენტარის გამოყენებით, ასევე პირდაპირი კონტაქტით.

- როგორია ვაქცინის იმუნიზაციის ხანგრძლივობა და მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით რამდენი პირუტყვი აიცრა?

- ვაქცინის იმუნიტეტის ხანგრძლივობა ერთი წელია. ამ ეტაპზეც მიმდინარეობს ნოდულარული დერმატიტის პროფილაქტიკური ვაქცინაცია განსაზღვრული წესით და დღეის მდგომარეობით აცრილია 7000-მდე პირუტყვი. ის სოფლები, სადაც წელს დაფიქსირდა დაავადება (ვახანი, ლეღვანი, ჩხერი, საღანძილე და ზარანი), მეპატრონეთა დაუდევრობის გამო ცხოველებს არ ჰქონდათ ჩატარებული ნოდულარული დერმატიტის პროფილაქტიკური ვაქცინაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვაქცინაცია უფასო და სავალდებულოა.

- ბატონო გიორგი, აცრილი ფურისაგან მიღებული რძის გამოყენება რა ვადებშია შესაძლებელი?

- ვაქცინას არ ახასიათებს რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვა. იგი კეთდება სამი თვის ასაკიდან ზემოთ, მაკეობის ნებისმიერ პერიოდში და რძის გამოყენება არ შეიძლება 3-5 დღის განმავლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნოდულარული დერმატიტი ადამიანისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

- როგორ უნდა დაგიკავშირდეთ დაავადებული ცხოველის მეპატრონე ვაქცინაციის ჩატარების მიზნით?

- ზემოთ ნახსენები კლინიკური ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მოქალაქეებს შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე: 591 91 48 83; მოვუწოდებ ცხოველთა მეპატრონეებს, ითანამშრომლონ ჩვენთან, რადგან პრევენციული ღონისძიებების დროულად ჩატარებით შესაძლებელია პირუტყვის დაცვა.

თამარ მაღრაძე

ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის ზედამხედველობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა

საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზედამხედველობის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე თევდორაძემ და ერთობლივი საწარმოს Pyunghwa Engineering Consultants Ltd, Yooshin Engineering Corporation, Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd წარმომადგენელმა კიუნ ჩულ შინმა მოაწერეს ხელი.

ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 50 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ძირითადად, უკვე არსებული გზის ფარგლებში განხორციელდება. სამუშაო მოიცავს: ასფალტის საფარის მოწყობას, ხიდების, გზის სადრენაჟე მილების, კიუვეტების რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციას, საყრდენი კედლების მშენებლობას, გზის მონიშვნასა და უსაფრთხოების ბარიერების მოწყობას.

საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს E-60 ავტომაგისტრალთან აკავშირებს. პროექტი მიუყვება მდინარე ჩხერიმელას და ასევე ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის რკინიგზის ხაზს. ადგილობრივ მოსახლეობას ამ გზაზე გადაადგილების პრობლემა წლებია, აწუხებს. გზის რეაბილიტაციის შედეგად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 23 000-მდე და გზის მიმდებარედ განლაგებულ 13 სოფელში მცხოვრებ 7 000-მდე ადამიანს გადაადგილების პირობები გაუუმჯობესდება.

რეაბილიტაციას აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს. საზედამხედველო მომსახურების ხელშეკრულების ღირებულება 3,207,700.20 აშშ დოლარი და 5,770,524.50 ლარია, სამშენებლო სამუშაოების ვადა კი 2018-2021 წლებია.

ბიუროს სხდომაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 2019 - 2020 წლებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელეს

დეპუტატებმა ბიუროს სხდომაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 2019-2020 წლებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელეს. საკითხი ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურული განყოფილების უფროსმა პეტრე შარიქაძემ წარადგინა.

ბიუროს წევრთა უმრავლესობამ პროექტთა ნუსხაში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. დეპუტატები მიიჩნევენ, რომ პროექტების შერჩევა პრიორიტეტულობის მიხედვით უნდა ხდებოდეს. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე შალვა ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში ცენტრალური გზები უნდა რეაბილიტირდეს, შემდეგ კი - საუბნო გზები. ,,დეისის ცენტრალური გზა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, ეს მაშინ, როცა მხარი უნდა დავუჭიროთ ზოგიერთ სოფელში საუბნო გზების მოწესრიგებას“, - განმარტა ლურსმანაშვილმა. წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ პროექტთა ნუსხაში კორექტირებას მოითხოვს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი. მისივე თქმით, პროექტების შერჩევა პერსონალური მიდგომებით ხდება. ,,მუნიციპალიტეტში 20 ადმინისტრაციული ერთეულია, თუმცა საპროექტო ნუსხაში მხოლოდ 19 მათგანია წარმოდგენილი. მეტ - ნაკლებად ყველგან ხორციელდება ესა თუ ის პროექტი, გარდა ბაზალეთისა. სოფელ წიფში გზა სავალალო მდგომარეობაშია და მოსახლეობას დავპირდით ამ პრობლემის მოგვარებას. ვალდებული ვართ, მიცემული პირობა შევასრულოთ.“-აღნიშნა ჭიპაშვილმა.

საპროექტო ნუსხის დაკორექტირებაზე საუბრობს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე. მისივე განმარტებით, თანხები შესაძლოა, გარდამავალ პროექტებს მოაკლდეს და ნუსხას რამდენიმე პროექტი დაემატოს.

თუ რა ცვლილებები შევა 2019-2020 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში, ამ საკითხზე დეპუტატები უახლოეს საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

სამძიმარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 95 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული პიროვნება, კარგი ქართული ოჯახის წინამძღოლი შაქრო მაღლაფერიძე და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

რიკოთის საუღელტეხილო გზის პროექტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტზე მუშაობს. უკვე ცნობილია, რომ ხევი-უბისის 12.2 კმ-იანი მონაკვეთის (II სექცია) რეაბილიტაციას აზიის განვითარების ბანკი (ADB) დააფინანსებს, ხოლო ჩუმათელეთი-ხევისა და უბისა-შორაპნისას -ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის გზის მონაკვეთზე, პროექტის ფარგლებში, იგეგმება 4-ზოლიანი მაგისტრალის მოწყობა, თითოეულის სიგანე კი 3,75 მეტრი იქნება. ასევე გაკეთდება 2,5 მეტრი სიგანის 2 გვერდულა/საავარიო ზოლი. დაგეგმილია 18 გვირაბისა და 35 ხიდის მოწყობა, რომელთაგან 18 ხიდი – თბილისი-არგვეთის მიმართულებით, ხოლო, 17 – არგვეთა-თბილისის მიმართულებით გაკეთდება. 12-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც მთლიანად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის, სამი კვანძის მოწყობა იგეგმება. პირველი კვანძი ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის იქნება, მეორე – საქასრიაში, მესამე კი – ბორითში.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი დამატებით რამდენიმე მოქალაქეს მიენიჭა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ განიხილა მოქალაქეთა განცხადებები – მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე და ყველა მათგანზე დადებითი რეკომენდაცია გაიცა. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი მიენიჭათ: მთვარისა ცუხიშვილს, ხათუნა ტაბატაძეს, ნანი ჩადუნელს, ზურაბ ლომიძეს, თინათინ ჩადუნელს, თამარ ჩადუნელს, ზინა ლომიძეს, ზაალ ტაბატაძეს, ნატო ლომიძეს, გივი ჩადუნელს, ნანული ლომიძეს, ნუგზარ ჩადუნელს, ნინო გორგაძეს, ნოდარ ჩადუნელს, ამირან გორგაძეს, ოლეგ ჩადუნელსა და გოჩა ლომიძეს.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ განცხადებებს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

ეკა შავიძე

საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოეწყო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები დაბა ხარაგაულში ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ჩუმათელეთის გზის პროექტის განსახილველად შეხვდნენ მოსახლეობას. საჯარო განხილვას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე ნოდარ აღნიაშვილმა განმარტა, პროექტის ფარგლებში 50 - კილომეტრიანი მონაკვეთი მოასფალტდება და გზა 9 მეტრის სიგანის იქნება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხიდებს და ოთხი ახალი ხიდის აშენებაც იგეგმება. მოეწყობა ასევე გზის სადრენაჟე მილები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების დამცავი ზღუდარები. გზის რეაბილიტაცია სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება. გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბლექ სი გრუპი“ და სამუშაოები აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყება.

შეხვედრა კითხვა -პასუხის რეჟიმში წარიმართა. ხარაგაულის მოსახლეობა საავტომობილო გზის მშენებლობას მხარს უჭერს, თუმცა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გზამ დაბის ცენტრზე არ უნდა გაიაროს და ალტერნატიული პროექტი უნდა მომზადდეს. ადგილობრივების აზრით, დაბაში არსებული ვიწრო ქუჩების, ცენტრალურ გზაზე ორი საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღისა და მოძველებული შენობების ფონზე, ავტომობილების ინტენსიური მოძრაობა დიდ პრობლემას შექმნის.

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი და საკრებულოს დეპუტატი თემურ ფცქიალაძე აღნიშნავს, რომ დაბაში არის ვიწრო გზა, რომელზეც ინტენსიური მოძრაობა გაძნელდება და სახიფათო იქნება. მისივე თქმით, თუკი არ მოხდება ალტერნატიული გზის მშენებლობა, მოსახლეობა პერმანენტულ აქციებს მოაწყობს.

ძირულა-ჩუმათელეთის გზის 50 კმ-იანი მონაკვეთის დაბის ტერიტორიაზე გავლის წინააღმდეგია ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე. „აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივებს გაუჩნდებათ დამატებითი შემოსავლები, მაგრამ დაბის ცენტრალურ ქუჩაზე საავტომობილო გზის გაყვანა საფრთხის შემცველია. ამიტომ ტრანზიტული მანქანებისთვის ცენტრალური ქუჩის ნაცვლად სხვა ალტერნატიული გზა უნდა გამოიძებნოს.“ - დასძინა ბატონმა პაატამ.

შეხვედრის დასასრულს, საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან ერთად, გზის ალტერნატიული ვარიანტი დაათვალიერეს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სამშენებლო სამსახურის უფროსის მოადგილის, ნოდარ აღნიაშვილის, განცხადებით, დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ერთად მოსახლეობის წინადადებებსა და მოთხოვნებს განიხილავენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ძირულა-ხარაგაული-მოლითის საავტომობილო გზის მშენებლობა აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყება და, დაახლოებით, ორი წელი გაგრძელდება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში კულტურული ღონისძებები მიმდინარეობს

უკვე რამდენიმე კვირაა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ ორგანიზებით ღონისძიებები მიმდინარეობს. როგორც ამავე ცენტრის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი განმარტავს, ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები კონცერტებს ღია ცის ქვეშ აწყობენ და ადგილობრივებიც აქტიურობენ. ამ ეტაპზე ღონისძიებები მოეწყო: ხიდარში, კიცხში, ვარძიაში, წყალაფორეთში, ბაზალეთსა და სარგვეშში.

სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურისა და ხელოვნების ცენტრს მასპინძლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძემ გაუწია. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება მოეწყო მის ულამაზეს ეზოში. დასასრულს, ქალბატონმა რუსუდანმა ანსამბლ ,,უბისის“ მოცეკვავეებსა და მომღერალ თიკო ჯანიაშვილს სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა.

გარდა ამისა, ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრი განაგრძობს სოფლებში სპექტაკლის ჩვენებას. „აბა, დამაცადეთ, თაგუნებო!“ უჩვენეს დაბის, საღანძილის, მარელისისა და ლაშის პატარებს.

ეკა შავიძე

,,აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ხარაგაულში ხანაყინე გაიხსნა

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში „აწარმოე საქართველოში“ ხარაგაულში კიდევ ერთი ობიექტი-სანაყინე გაიხსნა. ლაშა გელაშვილმა აღნიშნულ პროგრამაში გასულ წელს მიიღო მონაწილეობა და ბიზნესგეგმა 5000 ლარით დაუფინანსდა. აღნიშნული თანხით აპარატი შეიძინა, ინვენტარის შეძენა კი საკუთარი სახსრებით უზრუნველყო. როგორც ლაშა გელაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, პროექტის ფარგლებში თანამონაწილეობა 20%-ს შეადგენდა. მისივე განცხადებით, ნაყინს უმაღლესი ხარისხის ნედლეულით ამზადებენ. ,,როდესაც ვფიქრობდი, სად შემეძინა მასა, მირჩიეს, რომ ყველაზე კარგი ასორტიმენტი „თოლიას“ ჰქონდა. ამიტომ არჩევანი მათ პროდუქტზე შევაჩერე. იმედია, მოლოდინები, რაც მაქვს, გამართლდება. სამომავლოდ ვაპირებ გაფართოებას და ბევრი საინტერესო იდეაც მაქვს“, - აღნიშნა ლაშა გელაშვილმა.

შეგახსენებთ, ,,აწარმოე საქართველოში“ არის პროგრამა, რომელიც მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, გააფართოონ არსებული ბიზნესი, ან ახალი წამოიწყონ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა: კვების ობიექტი, პურის საცხობი, სამკერვალო, საკონდიტრო, ბეტონის ბოძების ჩამომსხმელი საამქრო, ფუტკრის მოშენებისთვის საჭირო ინვენტარის საწარმო და სხვა.

თამარ მაღრაძე

სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლება იწყება

სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლება, სავარაუდოდ, 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან დაიწყება. როგორც პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში აცხადებს, რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს სამინისტროს ბაზაზე შექმნილი საბჭოს წევრებთან ერთად. ,,ეს იქნება თეოლოგიის ძირითადი პრინციპების სწავლება, რათა ის შეცდომები, რომლებიც ხდება ჩვენ გარშემო, აღარ მოხდეს. რელიგიის სახელით წარმოშობილი კონფლიქტები არის მიუღებელი და ჯანსაღად უნდა ხდებოდეს სიტუაციის შეფასება“, - განმარტა მარიამ ჯაშმა. მისივე თქმით, მთავარია, მოხდეს შინაარსზე შეთანხმება, რომ მოსწავლეებმა სრულფასოვანი ინფორმაცია მიიღონ.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12